

ეზერჰარდ ფიშერი · ანდრეას გრიოგერი · ვოლფრამ ლოზინი


საქართველოს ფლორის ილუსტრირებული საველე გზამკვლევი

კობლენცის გეოგრაფიული კოლოკვიუმები
ბიოგეოგრაფიული მონოგრაფიები, სერია 3

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია ეკოსისტემების უჩვეულოდ ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ტენიან კოლხურ ტყეებს და კონტინენტურ სტეპებს, შავიზღვისპირა ხმელთაშუაზღვეთურ მცენარეულობას და ალპურ მდელოებს მცინვარების სიახლოვეს. ეს პატარა ქვეყანა ბიომრავალფეროვნების „ცხელი წერტილის“ – კავკასიის ეკორეგიონის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

წინამდებარე საველე გზამკვლევი შეტანილია საქართველოს ფლორის 1200-ზე მეტი სახეობა, რომელთა ფოტოების უმრავლესობა გადაღებულია ბუნებრივ გარემოში. სახეობები დაჯგუფებულია ბოტანიკური ოჯახების მიხედვით და თითოეული სახეობისათვის მოცემულია ინფორმაცია გეოგრაფიული არეალის, ჰაბიტატის, ყვეილობის პერიოდის შესახებ, აგრეთვე უმთავრესი სინონიმები. ეს გზამკვლევი გამიზნულია ბუნების მოყვარულებისა და ბოტანიკოსებისათვის.

წინამდებარე გზამკვლევის სამივე ძირითადი ავტორი ბოტანიკოსია, რომლებიც ასოცირებული არიან გერმანიის უნივერსიტეტებსა და ბოტანიკურ ბაღებთან. 1999 წლიდან მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ ქართველ კოლეგებთან თბილისისა და ბათუმის ბოტანიკური დაწესებულებებიდან. მათ მიერ ერთობლივად ჩატარებულია 20-ზე მეტი საველე გასვლა საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში.



კობლენცის გეოგრაფიული კოლოკვიუმები
ბიოგეოგრაფიული მონოგრაფიები, სერია 3

საქართველოს ფლორის
ილუსტრირებული საველე გზამკვლევი

ეზერჰარდ ფიშერი
ანდრეას გრიოგერი
ვოლფრამ ლოზინი

ეზერჰარდ ფიშერი · ანდრეას გრიოგერი · ვოლფრამ ლოზინი

საქართველოს ფლორის ილუსტრირებული საველე გზამკვლევი



კობლენცის გეოგრაფიული კოლოკვიუმები
ბიოგეოგრაფიული მონოგრაფიები, სერია 3

სურ. 1. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა



ებერჰარდ ფიშერი
ანდრეას გრიოგერი
ვოლფრამ ლობინი

თანამონაწილეები

- ზიგმარ ბრეკლე
(ბილფელდის უნივერსიტეტის ეკოლოგიის დეპარტამენტი)
მანანა ხუციშვილი
(საქართველოს ეროვნული ჰერბარიუმი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი)
- დავით ქიქოძე
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი)
- სანდრო ყოლბაია
(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, თბილისი)
- ნინო მემიაძე
(ბათუმის ბოტანიკური ბაღი)
- ბერნჰარდ მიზოფი
(ალექსანდ კიონინგის სახელობის ზოოლოგიური კვლევის მუზეუმი, ბონი)
- კლაუს მიქაელ ნოიმანი
(ბონის ბოტანიკური ბაღი)
- დაუდ რაფიქპური
(ბონის უნივერსიტეტის ნეეს ინსტიტუტი)
- დავით ჭელიძე
(საქართველოს ეროვნული ჰერბარიუმი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი)

საქართველოს ფლორის ილუსტრირებული საველე გზამკვლევი

კობლენცის გეოგრაფიული კოლოკვიუმები
ბიოგეოგრაფიული მონოგრაფიები, სერია 3

კობლენცის გეოგრაფიული კოლოკვიუმები
ბიოგეოგრაფიული მონოგრაფიები, სერია 3

კობლენცის გეოგრაფიული კოლოკვიუმები წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომთა სერიას, რომელიც გამოქვეყნებულია კობლენც-ლანდაუს უნივერსიტეტის (კობლენცის კამპუსი) ინტეგრირებული საბუნებისმეტყველო მეცნიერების ინსტიტუტის გეოგრაფიის განყოფილების მიერ. ჩვეულებრივ, ყოველწლიურად ქვეყნდება ერთი ტომი; შესაძლებელია, დამატებით გამოქვეყნდეს სხვა ტომები, რომლებიც ეძღვნება სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ავტორები იღებენ სრულ პასუხისმგებლობას პუბლიკაციების შინაარსსა და ფორმატზე.

პერიოდული გამოცემის რედაქტორები: პროფ. დოქტ. რაინერ გრააფენი
 პროფ. დოქტ. დიტერ კიონიგი
 პროფ. დოქტ. ბერნჰარდ კიოპენი
 ტომის რედაქტორები: პროფ. დოქტ. ებერჰარდ ფიშერი
 დოქტ. ანდრეას გრიოგერი
 დოქტ. ვოლფრამ ლობინი

CIP გერმანული ბიბლიოთეკა
 ეს პუბლიკაცია გერმანული ბიბლიოთეკის მიერ შეტანილია გერმანული ნაციონალური ბიბლიოგრაფიის სიაში. დეტალური ბიბლიოგრაფიული მონაცემები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://dnb.ddb.de>

ISBN 978-3-9820257-0-4
 ISSN 1616-4784

დიზაინი: დიპლომირებული დიზაინერი კარსტენ მოოგი, ბონი, გერმანია
info@moogdesign.de

გამომცემლობა: Druckerei Karl Neisius GmbH, ვინინგენი, გერმანია

პირველი გამოცემა 2018წ.

© Professor Dr Eberhard Fischer, University of Koblenz-Landau, Dr Andreas Gröger, Munich Botanic Garden and Dr Wolfram Lobin, Bonn University Botanic Gardens

ილუსტრაცია წინა ყდაზე:
 მყინვარწვერი (ფონი);
Pedicularis wilhelmsiana (მარცხნივ); *Silene lacera* (მარჯვნივ)

ავტორების მისამართები:
 პროფ. დოქტ. ებერჰარდ ფიშერი, ბიოლოგიის განყოფილება,
 ინტეგრირებული საბუნებისმეტყველო მეცნიერების ინსტიტუტი,
 კობლენც-ლანდაუს უნივერსიტეტი,
 Universitätsstr. 1, D-56070 კობლენცი, გერმანია
 ელ. ფოსტა: efischer@uni-koblenz.de

დოქტ. ანდრეას გრიოგერი, მიუნხენის ბოტანიკური ბაღი,
 Menzingerstr. 61 – 65, D-80638 მიუნხენი, გერმანია
 ელ. ფოსტა: groeger@snsb.de

დოქტ. ვოლფრამ ლობინი, ბონის ბოტანიკური ბაღი,
 Meckenheimer Alle 169, D-53115 ბონი, გერმანია
 ელ. ფოსტა: lobin@hotmail.de

შეკვეთები მიიღება შემდეგ მისამართზე:
 ბიოლოგიის განყოფილება,
 ინტეგრირებული საბუნებისმეტყველო მეცნიერების ინსტიტუტი,
 კობლენც-ლანდაუს უნივერსიტეტი,
 Universitätsstr. 1, D-56070 კობლენცი, გერმანია
 ელ. ფოსტა: dagmar.savelsberg@uni-koblenz.de

ნაწილი I
შესავალი თავები

1. როგორ შეიქმნა ეს წიგნი 9
 2. საქართველოს გეოგრაფია, გეოლოგია და კლიმატი 10
 3. საქართველოს მცენარეულობა 12
 4. საქართველოს ფლორისტული მრავალფეროვნება და ბიოგეოგრაფია 25
 5. საქართველოს ფლორის შესწავლის ისტორია 27
 6. ტაქსონომიური კონცეფციები 30
 7. როგორ გამოვიყენოთ ეს წიგნი 31

ნაწილი II
მცენარეთა სახეობების ილუსტრაციები

8. ლიკობოდიუმები 34
 9. გვიმრები 37
 10. შიშველთესლოვნები 70
 11. ფარულთესლოვნები
 11.1. უმდაბლესი ფარულთესლოვნები 82
 11.2. ერთლებნიანები 86
 11.3. უმაღლესი ფარულთესლოვნები 254

ნაწილი III
დამატებითი ინფორმაცია და საძიებელი

12. სამადლობელი 804
 13. ფოტოების ავტორები 805
 14. გამოყენებული ლიტერატურის სია 806
 15. დამატება 810
 16. საძიებელი 814

ეს წიგნი ეძღვნება ჩვენს ახლო მეგობარს, ბურაბ შევარდნაძეს. მისმა კეთილშობილურმა მხარდაჭერამ დაგვანახა, რომ სტუმართმოყვარეობა ქართული ხასიათის განუყოფელი ნაწილია

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ქირსა არ დამრიდად“

(შოთა რუსთაველი).

საქართველოს ფლორის განსაკუთრებული მრავალფეროვნება მუდამ იზიდავდა უცხოელ მოგზაურებსა და ნატურალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მცენარეული სამყაროს შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს, დღეისათვის გამოცემულია მხოლოდ რამდენიმე ილუსტრირებული წიგნი და სარკვევი პროფესიონალი ან მოყვარული ბოტანიკოსების დასახმარებლად. წინამდებარე წიგნში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ბევრ ადგილობრივ, აგრეთვე ფართოდ გავრცელებულ ინვაზიურ ტაქსონზე, რომელთა რაოდენობა საქართველოს ფლორის თითქმის 25%-ს შეადგენს. თითოეული ტაქსონის აღწერას თან ერთვის რამდენიმე მაღალი ხარისხის ფოტოგამოსახულება, რაც აადვილებს მცენარეთა იდენტიფიკაციას საველე პირობებში.

ამ წიგნის ავტორებმა - ფრიად პატივსაცემმა გერმანელმა კოლეგებმა - დიდი სამუშაო შეასრულეს. მათ შეაგროვეს ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა ჰაბიტატთან ასოცირებული მცენარეების შესახებ, განახორციელეს მათი ფოტოგადაღება. წიგნის საბოლოო სახით მომზადებამდე ჩაატარეს ინტენსიური საველე სამუშაოები; დათვალიერებული ათასობით საჰერბარიუმო ფურცელი, შესწავლილია უკანასკნელი ათწლეულების მრავალრიცხოვანი ლიტერატურული წყაროები. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართველ კოლეგებთან. ნაშრომის გამოქვეყნება ამ თანამშრომლობის წარმატებული შედეგია.

საქართველო ბუნებრივი რესურსებით არც ისე მდიდარი ქვეყანაა. ჩვენი სიმდიდრე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჩვენი მეგობრებია. მათ შორის არიან გერმანელი ბოტანიკოსებიც, რომლებმაც ეს წიგნი მოამზადეს. არ გამკვირვებია, როცა ამ ათიოდე წლის წინ გავიგე, რომ ამ წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა ვოლფრამ ლობინმა კოლეგებთან ერთად საქართველოდან აღწერა მცენარეებისათვის ახალი გვარ *Arum*-ის (ნიუკა) სახეობა და მას ქართული სახელი - „მეგობრები“ უწოდა. ამით ხაზი გაესვა მეგობრობის მნიშვნელობას სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ბატონებს ებერჰარდ ფიშერს, ანდრეას გრიოგერსა და ვოლფრამ ლობინს საქართველოს ფლორის ილუსტრირებული მეგობრის მომზადებისათვის. დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი გახდება პროფესიონალი და მოყვარული ბოტანიკოსების, ასევე სხვა ნატურალისტების თანამგზავრი საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის კვლევისას. მოხარული ვარ, რომ წიგნი ითარგმნა ქართულად და ხელმისაწვდომია ქართველი მეცნიერების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის, საერთოდ მკითხველთა ფართო წრისათვის.

დავით ქიქოძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბოტანიკის ინსტიტუტი

1. როგორ შეიქმნა ეს წიგნი

ამ წიგნის ავტორებმა ოცამდე წლის განმავლობაში განახორციელეს ათეულობით სავსელე გასვლა საქართველოს თითქმის ყველა ძირითად მხარეში. ყველაფერი დაიწყო 1999 წელს, როდესაც ვოლფრამ ლობინი და ანდრეას გრიოგერი პირველად ეწვივნენ საქართველოს და მოიხილნენ ამ ქვეყნით, რომელიც ჯერ კიდევ უცნობი იყო დასავლეთ ევროპელებისათვის. მათ სწრაფად გააცნობიერეს, რომ ქართული ან რუსული ენების ცოდნის გარეშე საქართველოს მრავალფეროვანი ფლორის გაცნობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ქართველი კოლეგების დახმარებით. ასე დაიბადა გზამკვლევის შექმნის იდეა!

მომდევნო წლებში გამყარდა ავტორების კავშირი ქართველ კოლეგებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, განსაკუთრებით თბილისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებთან. ავტორებისა და ქართველი კოლეგების მონაწილეობით ტარდებოდა რეგულარული ერთობლივი სავსელე ექსპედიციები, ინტენსიურად გროვდებოდა მცენარეთა თესლი ბონისა და მიუნხენის ბოტანიკური ბაღების კავკასიური კოლექციების გასამდიდრებლად; აღნუსხულია მრავალი სახეობა საჰერბარიუმო ნიმუშების შეგროვებისა და ფოტოგადაღებების მეშვეობით.

2007 წელს პროექტმა ახალი იმპულსი შეიძინა. ებერჰარდ ფიშერმა, ანდრეას გრიოგერმა და ვოლფრამ ლობინმა უხელმძღვანელებს სტუდენტთა ექსკურსიას კავკასიაში; ექსკურსია ორგანიზებული იყო ბონის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტისა (შემდგომში - მცენარეთა ბიომრავალფეროვნების ნეეს ინსტიტუტი) და მიუნხენის ბოტანიკური ბაღის მიერ. ამ მოგზაურობისას ებერჰარდ ფიშერს დაეხმარა ილუსტრირებული სავსელე გზამკვლევის მომზადების იდეა. ამის შემდგომ ფოტოგადაღებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. ფოტოების კოლექცია გამდიდრდა ბოტანიკოსებისა და ჰორტიკულტურისტების ფართო ქსელის დახმარებით.

გზამკვლევის მომზადების პერიოდში გამოქვეყნდა სამი სხვა ილუსტრირებული ნაშრომი საქართველოს ფლორის შესახებ. ერთ-ერთში (HOLUBEC & KRIVKA 2006) მოცემულია 509, ძირითადად მაღალმთის, სახეობის აღწერა, რომლებიც შესანიშნავი ფოტოებითა დასურათებული. მეორე გამოცემაში (KIKODZE et al. 2007) მოყვანილია 125 იშვიათი სახეობა, ხოლო 2018 წელს გამოქვეყნებულ სავსელე გზამკვლევაში (SHETEKAURI et al. 2018) მოცემულია 1000 სახეობის აღწერა და ილუსტრაცია. ეს ნაშრომები, წინამდებარე გზამკვლევთან ერთად, ეხმარება ბუნების ენთუზიასტებს დამოუკიდებლად გამოიკვლიონ საქართველოს მდიდარი ფლორა.

სურ. 2. შხარა – საქართველოს უმაღლესი მწვერვალი (5069 მ)




2. საქართველოს გეოგრაფია, გეოლოგია და კლიმატი

საქართველო მდებარეობს 41°07'-43°35' გრძედსა და 40°04'-46°44' განედს შორის; მას უკავია 69,700 კმ². ჩრდილოეთით იგი ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, სამხრეთით – თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკებს, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანის რესპუბლიკას და დასავლეთით – შავ ზღვას (იხ. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა სურ. 1-ზე წინა ყდის შიდა მხარეზე).

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში გამოკვეთილია ორი უმსხვილესი მთათა სისტემა: **დიდი კავკასიონი** ჩრდილოეთით (უმაღლესი მწვერვალი საქართველოში - შხარა, 5069 მ; სურ. 2) და **მცირე კავკასიონი** სამხრეთში (უმაღლესი მწვერვალი საქართველოში - დიდი აბული, 3300 მ); ეს უკანასკნელი ერწყმის სომხეთის ზეგანს (BONDYREV et al. 2015). დიდი კავკასიონი საქართველოს იცავს ცენტრალურ აზიაში წარმოქმნილი ზაფხულის ცხელი და ზამთრის ცივი ჰაერის მასების ზემოქმედებისაგან. მცირე კავკასიონი ქმნის დაბრკოლებას ირანისა და ერაყიდან მომავალი ზაფხულის ცხელი ჰაერის ნაკადებისაგან (SCHÄFER 2003).

აღნიშნული მთათა სისტემები ერთმანეთს უკავშირდება **სურამის ქედი**, რომელიც წარმოადგენს წყალგამყოფს და აგრეთვე მიჯნავს კლიმატურ ზონებს. სურამის ქედის დასავლეთით გაედინება მდ. რიონი, რომელიც **კოლხეთის** დაბლობის გავლით უერთდება შავ ზღვას; კოლხეთის დაბლობი ხასიათდება ნოტიო ხმელთაშუაზღვეთური კლიმატით. სურამის ქედის აღმოსავლეთით, მდ. მტკვარი (რუსულად „კურა“) საქართველოს გავლით გაედინება აზერბაიჯანში და ერთვის კასპიის ზღვას. აღმოსავლეთ საქართველო ხასიათდება კონტინენტური და უფრო მშრალი კლიმატით (WALTER & BRECKLE 1994), რაც ხელს უწყობს სტეპის ტიპის მცენარეულობის

სურ. 3. საშუალო წლიური ნალექების რაოდენობა კავკასიის რეგიონში (მონაცემები აღებულია კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასიდან, რომელიც მომზადებულია სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო მეტეოროლოგიური სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2010 წ.)



განვითარებას. ნალექების წლიური განაწილება (სურ. 3) მკაფიოდ აჩვენებს, რომ საქართველო დაყოფილია ნოტიო დასავლეთ და მშრალ აღმოსავლეთ ნაწილებად. საერთო ჯამში, საქართველოს კლიმატური პირობები ძალიან მრავალფეროვანია ქვეყნის მცირე ტერიტორიის მიუხედავად.

გეოქრონოლოგიურად დიდი კავკასიონის ფორმირება მოხდა ალპების წარმოქმნის პერიოდში, 25 მლნ წლის წინ. ალპებისგან განსხვავებით, დიდი კავკასიონი დაექვემდებარა ინტენსიურ ვულკანურ ზემოქმედებას. უმაღლესი მწვერვალები ყოფილ ვულკანებს წარმოადგენს და ბაზალტური ქანებით შექმნილი კლდეები ლანდშაფტის ფართოდ გავრცელებული კომპონენტებია, მაგ., ყაზბეგის ზონაში.

შთამბეჭდავი ვულკანური სტრუქტურები ასევე წარმოდგენილია გეოლოგიურად უფრო ძველ და ბევრად დაბალი სიმაღლის მცირე კავკასიონზე (სურ. 4), მაგ., რელიეფის კონუსური ფორმები და ოსიდიანის შრეები ჯავახეთის მხარეში.

ზოგადად, კავკასიაში გაბატონებულია ვულკანოგენური ქანები, როგორებიცაა გრანიტები, გნეისები და ვულკანური ქანები. კირქვები ძირითადად განფენილია დიდი კავკასიონის დასავლეთ ნაწილის მთისწინებში. ქვიშაქვები ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებში. ფიქლოვანი შრეები კარგადაა წარმოდგენილი საკმაოდ დიდ სიმაღლეებზე, განსაკუთრებით ყაზბეგის ზონის აღმოსავლეთ ნაწილში.




3. საქართველოს მცენარეულობა

საქართველოს მცენარეულობა დეტალურადაა აღწერილი გ. ნახუცრიშვილის ნაშრომებში (NAKHUTSRISHVILI 1999, 2013; NAKHUTSRISHVILI et al. 2017). წინამდებარე თავში მოცემულია მისი მოკლე მიმოხილვა; ძირითადად წარმოდგენილია ბუნებრივი მცენარეულობის ერთეულები, რომლებიც აღწერილი და დარუკებულია BOHN et al.-ის მიერ (2003) (სურ. 5). ვერტიკალური ზონირება დიდ კავკასიონზე ცვალებადობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ყაზბეგის რეგიონის ცენტრალურ ზონაში შესაძლებელია შემდეგი სართყლების გამოყოფა: მთის შუა და ზედა სართყელი (1500 – 1900 მ), სუბალპური სართყელი (1900 – 2500 მ), ალპური სართყელი (2500 – 3000 მ), სუბნივალური სართყელი (3000 – 3800 მ) და ნივალური სართყელი (3800 მ-ის ზემოთ) (NAKHUTSRISHVILI et al. 2017).

A2 სუბნივალური სართყლის მცენარეულობა

სუბნივალური და ნივალური სართყლების მცენარეულობა მოიცავს მუდმივი თოვლისა და მყინვარების მახლობლად განვითარებულ მცენარეულ თანასაზოგადოებებს (სურ. 6). ტიპური მცენარეები, რომლებიც ზ.დ. 3500-3800 მ სიმაღლეზე იზრდება, შემდეგია: *Cerastium kasbek*, *C. pseudokasbek*, *Pseudovesicaria digitata*, *Saxifraga flagellaris*, *Veronica telephiifolia*, *Scrophularia minima*, *Delphinium caucasicum* და მრავალრიცხოვანი ლიქენები და ბრიოფიტები.





B2 ალპური სარტყლის მცენარეულობა

ალპური სარტყელი მყინვარწვერის მასივზე წარმოდგენილია ზ.დ. 2450–2500 მ-დან; იგი ხასიათდება +8°C იზოთერმით ყველაზე თბილ თვეში (OTTE et al. 2011). მცენარეულობა შექმნილია მდელოებითა და გართხმული ბუჩქების დაჯგუფებებით; იგი პირობითად იყოფა შემდეგ ერთეულებად:

ა) ალპური მდელოები მარცვლოვნებისა და ისლების გაბატონებით, ასევე წარმოდგენილია *Carex aterrima* ssp. *medvedewii*, *Thymus caucasicus* და *Trifolium canescens*.

ბ) ალპური „ხალები“, სადაც მარცვლოვნები და ისლები არ დომინირებს; ამ მცენარეულობაში გვხვდება *Campanula* spp., *Primula* spp. და *Viola oreades* (სურ. 7).

გ) დაბალტანინი ბუჩქნარები ღარიბ ნიადაგებზე *Vaccinium vitis-idaea*-ს, *V. myrtillus*-ს, *Empetrum nigrum* ssp. *caucasicum*-სა და სხვათა მონაწილეობით.

დ) კლდე-ნაშალების მცენარეულობა, რომლის დამახასიათებელი სახეობებია *Cardamine abchasica*, *Saxifraga pseudolaevis* და *Senecio leucanthemifolius* ssp. *caucasicus*.



C3 სუბალპური სარტყლის მცენარეულობა

საქართველოში ტყის ბუნებრივი ზედა საზღვარი სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე ზ.დ. 2200 მ-ზე, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობებზე 2750 მ-ზე გადის. არცთუ იშვიათად, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, საზღვარი 250–400 მ-ით არის დადაბლებული; ე.ი., იგი სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე ზ.დ. 1900 მ-მდე, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობებზე 2500 მ-მდეა დაწეული (ოტე et al. 2011).

სუბალპური სარტყლის ქვედა ნაწილში, ზ.დ. 2000 მ-ის ქვემოთ წარმოდგენილია ტყეები, რომელთა შექმნაში ძირითადად მონაწილეობს *Fagus orientalis*, *Betula medwediewii*, *Acer trautvetteri*, *Picea orientalis*, *Abies nordmanniana* და *Sorbus aucuparia* (სურ. 8).

სუბალპური სარტყლის ზედა ნაწილში, ტყის საზღვრის ზემოთ, მცენარეულობა შექმნილია ტანბრეცილი არყნარებით, სუბალპური ბუჩქნარებითა (დეკიანი) და სუბალპური მდელოებით. სუბალპური ბუჩქნარების ძირითადი კომპონენტებია *Rhododendron caucasicum*, *Juniperus communis* და *Rhododendron luteum* (სურ. 8).

მყინვარწვერის მასივის ჩრდილოეთ ფერდობებზე, ზ.დ. 1850–2200 მ-ზე გავრცელებულია არყნარები. მათ შექმნაში მონაწილეობს *Betula pubescens* var. *litwinowii*, *B. raddeana*, *Salix caprea* და *Sorbus aucuparia*. აქვე წარმოდგენილია სუბალპური მაღალბალახეულობა (სურ. 9).

სუბალპური მაღალბალახეულობა, რომელიც მაღალი შეკრულობით ხასიათდება, შექმნილია 1.5 – 2 მ სიმაღლის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა დაჯგუფებებით. მისი ძირითადი კომპონენტებია *Aconitum orientale*, *Cicerbita macrophylla*, *Symphytum asperum*, *Heracleum* spp., *Campanula lactiflora*, *C. latifolia*, *Telekia speciosa*. სუბალპური მდელოს ტიპური სახეობებია: *Ranunculus caucasicus*, *Veratrum lobelianum*, *Anemone fasciculata*, *Pedicularis condensata*, *P. wilhelmsiana*, *Fritillaria collina*; უფრო ტენიან გარემოში გვხვდება *Trollius ranunculinus*, *Veronica gentianoides* და *Poa alpina*.



D4.1 მთისა და ნაწილობრივ სუბმონტანური სოჭნარები და ნაძვნარები

სოჭნარები და ნაძვნარები ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, 1400 – 1900 მ-ზე. ნაძვის ერთეული ინდივიდები და მცირერიცხოვანი ჯგუფები აღმოსავლეთით მთიულეთამდე ვრცელდება, ხოლო სოჭის - პატარა ლიხვის ხეობამდე. სოჭნარების დომინანტია *Abies nordmanniana*, რომლის ტიპური თანმდევი სახეობაა *Fagus orientalis*. ნაძვნარები *Picea orientalis*-ის გაბატონებით განვითარებულია უმნიშვნელოდ უფრო მშრალ პირობებში (სურ. 10).

ბუჩქებისა და ბალახოვანთა იარუსების მიხედვით, გამოყოფილია შემდეგი ასოციაციები (NAKUTSRISHVILI 2013): შედარებით მშრალ პირობებში განვითარებულია სახეობებით ლარიბი ტყის მცენარეული თანასაზოგადოება ბალახოვან საფარში *Poa nemoralis*-ისა და *Brachypodium sylvaticum*-ის დომინანტობით; ნოტიო კლიმატურ გარემოში ბალახოვან საფარში დომინირებს *Sanicula europaea*. ასეთსავე პირობებში განვითარებულია ტყის მცენარეული თანასაზოგადოება *Vaccinium arctostaphylos*-ისა და *Daphne pontica* -ს ქვეტყით. სამხრეთ კოლხეთის მთებში გავრცელებულია თანასაზოგადოება *Viburnum orientale*-ს, *Ilex colchica*-სა და *Rhododendron ponticum*-ის ქვეტყით, ხოლო ბალახოვან საფარში *Trachystemon orientale*-ს გაბატონებით; დასავლეთ საქართველოს ტყის თანასაზოგადოებები გამოირჩევა გვიმრების სახეობათა სიმრავლით (*Athyrium filix-femina*, *Dryopteris filix-mas*, *D. oreades*, *Oreopteris limbosperma* და *Matteuccia struthiopteris*).

D6 მთისა და მაღალმთის სარტყლების ფიჭვნარები

Pinus sylvestris var. *hamata* -ს დომინანტობით შექმნილი მთის სარტყლის ფიჭვნარები (სურ. 11) გავრცელებულია ზ.დ. 700-დან 2400 მ-მდე; ისინი, მეტწილად, მშრალ, სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე განვითარებული. დომინანტი სახეობის გარდა, მათ შექმნაში მონაწილეობს *Quercus petraea* ssp. *iberica* (1,500 მ-ს ქვემოთ), *Q. macranthera* (1,500 მ-ს ზემოთ) და ნეკერჩხლის რამდენიმე სახეობა (*Acer* spp.) (NAKHUTSRISHVILI 2013). უფრო ტენიან პირობებში, ფიჭვნარ ტყეებში წარმოდგენილია შემდეგი სახეობები: *Picea orientalis*, *Betula pubescens* var. *litwinowii*, *Abies nordmanniana*, *Fagus orientalis* და *Fraxinus excelsior*. მცირე კავკასიონისათვის დამახასიათებელია ფიჭვნარი ტყეები ტრაგაკანთული ბუჩქის - *Astragalus microcephalus*-ის მონაწილეობით.

F6 მთისა და მაღალმთის წიფლნარები და რცხილნარ-წიფლნარები

მთისა და მაღალმთის წიფლნარები *Fagus orientalis* -ის გაბატონებით (სურ. 12) განვითარებულია ზ.დ. 1,000 მ-დან (მტირალას მთა, დასავლეთ საქართველო) თითქმის ტყის ზედა საზღვრამდე (2,200 მ, ლაგოდეხი). მცირე კავკასიონზე ასევე წარმოდგენილია ნაძვნარ-წიფლნარი ტყეები. პირველადი ტყეების ძირითადი შემქმნელი სახეობებია *Fagus orientalis*, *Carpinus betulus* და *Fraxinus orientalis*.



სურ. 12. რცხილნარ-წიფლნარი ტყეები (F6), დიდგორი



F7.1 მთის ქვედა სარტყლისა და მთისწინების რცხილნარ-მუხნარები

ამ ტყეებში გაბატონებულია მუხა (*Quercus petraea* ssp. *iberica*), რომელთან ერთად ხშირად იზრდება *Carpinus betulus*. ფართოდაა გავრცელებული მუხნარები *Carpinus orientalis*-ის ქვეტყით. დასავლეთ საქართველოში რცხილნარ-მუხნარები და მუხნარები მონაცვლეობს წიფლნარებთან (*Fagus orientalis*) და წაბლნარებთან (*Castanea sativa*) მარადმწვანე ქვეტყით. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ნაწილში მუხნარი ტყეები კონტაქტშია ღვიიანებთან (K3).

H ჰიგროფილური თერმოფილური შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები

დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ მცენარეულობაში გაბატონებულია თერმოფილური ფართოფოთლოვანი ტყეები. ამ კოლხური ტყეების სტრუქტურაში გამოკვეთილია ფოთლომცვივანი ხეების იარუსი (*Fagus orientalis*, *Castanea sativa*, *Carpinus orientalis*, *Tilia caucasica*, *Alnus barbata*) და მარადმწვანე ქვეტყე (*Rhododendron ponticum*, *R. ungerii*, *R. smirnowii*, *Prunus laurocerasus*, *Ilex colchica*, *Buxus sempervirens*) (სურ. 13). ზოგან ამ ტყეებში გვხვდება უთხოვრის (*Taxus baccata*) ხანდაზმული ინდივიდები, მარადმწვანე ლიანები (*Hedera colchica*, *Smilax excelsa*) და მრავალრიცხოვანი გვიმრები (მაგ., ატლანტური გვიმრა *Hymenophyllum tunbrigense*).



K1.3 ხმელთაშუაზღვეთური ფიჭვნარები

ამ ფიჭვნარის დომინანტია ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus brutia* var. *pityusa*). მისი კორომები ლოკალურადაა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე - აფხაზეთში. ფიჭვნარის დამახასიათებელი სახეობებია *Carpinus orientalis*, *Cistus creticus*, *Rhododendron luteum*, *Ruscus aculeatus* და *R. colchicus*.

K3 არიდული მენხერი ტყეები

არიდული მენხერი ტყეების ძირითადი არეალი ივრის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია, მცირედით ვრცელდება შიდა და ქვემო ქართლში. ძირითადია ღვიინი და საკმლისხიანი ფორმაციები. დომინანტებია: *Juniperus foetidissima*, *J. polycarpus*, *Pistacia mutica*. დამახასიათებელია ჰემიქსეროფილური ბუნების ქვეტყე, ხოლო ბალახოვანი საფარი შექმნილია სტეპებისა და მდელო-სტეპების მცენარეებით (სურ. 14).

T1 მურყნანები და ქაობიანი ტყეები

მურყნარებსა და ქაობიან ტყეებში გაბატონებული მერქნიან მცენარეთა სახეობებია *Alnus barbata* და *Pterocarya pterocarpa*. ქაობიანი ტყეების არეალში ჩართულია ქაობის ბალახოვანი მცენარეულობა, რომლის შექმნაში მონაწილეობს შემდეგი სახეობები: *Typha latifolia*, *Phragmites australis* და დიდტანიანი ისლებით (*Carex* spp.).



M1.1 მარცვლოვანი და ნაირბალახოვან-მარცვლოვანი სტეპები

საქართველოს ტერიტორიაზე სტეპის მცენარეულობა როგორც პირველადი, ისე მეორეული წარმოშობისაა. მეორეული სტეპები ანთროპოგენური წარმოშობისაა და განვითარებულია ტყეებისა და ბუნქნარების სუქცესიური დიგრესიის შედეგად. სტეპის მცენარეულობისათვის დამახასიათებელია შემდეგი მცენარეთა ჯგუფები: კორდის შემქმნელი მრავალწლოვანი მარცვლოვანი (*Bothriochloa ischaemum*, *Stipa* spp., *Koeleria gracilis*), გეოფიტები (*Gagea* spp., *Muscari* spp., *Iris caucasica*, *Merendera trigyna*), მრავალწლოვანი ნაირბალახები (*Onobrychis radiata*, *Onobrychis cyri*, *Phlomis pungens*, *Phlomis tuberosa*, *Salvia nemorosa*, *Linum austriacum*) და ერთწლოვანი (*Linum corymbosum*, *Alyssum linifolium*, *Draba nemorosa*, *Salvia viridis*, *Xeranthemum squarrosum*).

N მთის ქსეროფიტული მცენარეულობა

ეს მცენარეულობა განვითარებულია კლდოვან გაშიშვლებებზე ნახევრად არიდულ რეგიონებში. ისინი მეტწილად ლოკალიზებულია სამხრეთ საქართველოში (მესხეთი) და ცენტრალურ კავკასიონზე (მაგ., მდ. არღუნის სათავეები) და ძირითადად წარმოდგენილია ტრაგაკანთული ბუნქნარებით. დომინანტი სახეობებია *Astragalus microcephalus*, *A. denudatus*, *Acantholimon* spp., დამახასიათებელია მრავალწლოვანი ჰემიქსეროფილური მარცვლოვანების, ნაირბალახებისა და ნახევრად ბუნქნების მონაწილეობა.

O2 დაბლობის ნახევრად ბუნქნების უდაბნოს მცენარეულობა ეფემეროიდებით

ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოს მცენარეულობისათვის დამახასიათებელია ქსეროფიტული, მათ შორის ჰალოფიტური ნახევრად ბუნქნებისა და ბუნქნალახების გაბატონება (სურ. 15). ესენია: *Artemisia fragrans*, *Salsola ericoides*, *S. nodulosa*, *S. dendroides*. დამახასიათებელია ეფემერ-ეფემეროიდებით ფართო გავრცელება. ძლიერ დამლაშებულ და ტენიან სუბსტრატზე იზრდება ერთწლოვანი ჰალოფიტი *Salicornia europaea*. ამ დაჯგუფებებში მნიშვნელოვანია რელიქტური ბუნქნის - *Nitraria schoberi*-ის მონაწილეობაც.

S3.4 ქაობის მცენარეულობა მაღალტანიანი ისლების გაბატონებით

მაღალტანიანი ისლების მცენარეული თანასაზოგადოებები ძირითადად გაგრცელებულია კოლხეთის დაბლობზე და ნაწილობრივ ჯავახეთის ზეგანზე. ძირითადი სახეობებია: *Carex pseudocyperus*, *C. vesicaria*, *C. riparia* და სხვ.

აღნიშნული ეკოსისტემის ფარგლებში გაგრცელებულია სფაგნუმიანი ქაობები, რომლებიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვხვდება. ისინი ვერტიკალურად დაბლობიდან ნაძვნარ-სოჭნარ ტყეებამდე ვრცელდება. კოლხეთის დაბლობზე გაგრცელებულია სფაგნუმის შემდეგი სახეობები: *Sphagnum palustre*, *S. apiculatum*, *S. papillosum* და სხვ. აღნიშნულ სფაგნუმიანი ქაობებში ასევე იზრდება *Rhododendron ponticum*, *Rh. luteum*, *Vaccinium arctostaphylos*, *Osmunda regalis* და *Frangula alnus*. ამ თანასაზოგადოებებთან ასოცირებულია ისეთი გამორჩეული მცენარეები, როგორებიცაა *Hibiscus ponticus* და *Rhynchospora caucasica*. წყლის მცენარეულობაში ყველაზე მნიშვნელოვან სახეობებს წარმოადგენს *Trapa colchica* და *T. maleevii*. ადამიანის ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლის ქაობებზე განხილულია შემდეგ ლიტერატურულ წყაროში: CONNOR et al. (2007).

U3.1 ქაობის ტყეები

საქართველოს ქაობის ტყეები წარმოდგენილია ვერხვების (*Populus* spp.), ტირიფების (*Salix* spp.), ქაობის მუხისა (*Quercus robur* ssp. *pedunculiflora*) და ლაფნის (*Pterocarya pterocarpa*) მცენარეული თანასაზოგადოებებით. ხშირია პატარა თელა (*Ulmus minor*) და მაცვლები (*Rubus anatolicus* და სხვ.). ქაობის ტყეებისათვის დამახასიათებელია მერქნიანი ლიანების - სურო (*Hedera* spp.), ეკალიძი (*Smilax excelsa*), ღვედკეცი (*Periploca graeca*), კატაბარდა (*Clematis vitalba*) ფართო მონაწილეობა. ამ ეკოსისტემასთან აგრეთვე დაკავშირებულია იალღუნის ბუჩქნარი.

ანთროპოგენური მცენარეულობა

საქართველოს ანთროპოგენურ მცენარეულობაში გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი: სათიბ-საძოვრები, სიმინდის, ხორბლის ან ქერის ყანებთან ასოცირებული სეგეტალურ მცენარეთა თანასაზოგადოებები და ქალაქების, სოფლებისა და გზისპირების სპონტანური და რუდერალური მცენარეულობა.

საძოვრები ფლორისტულად ძალიან მრავალფეროვანია; აქ ფართოდ გაგრცელებულ მარცვლოვან-ნაირბალახებთან ერთად იზრდება ჯადგარისებრთა (Orchidaceae) და აბრეშუმასებრთა (Orobanchaceae) ოჯახების სახეობები (*Dactylorhiza urvilleana*, *D. euxina*, *Rhinanthus* spp., *Melampyrum* spp.), ასევე *Gladiolus* spp. და სხვ. მათ გარდა, საძოვრებზე გვხვდება სხვა არაერთი ლამაზად მოყვავილე მცენარე; ისინი განსაკუთრებით შთაბეჭდავი ყვავილობისა, მაისსა და ივნისში (სურ. 16).

სეგეტალური მცენარეულობა სახეობებით მდიდარია; აქ გვხვდება ისეთი მცენარეები, როგორებიცაა *Cuscuta* spp., *Consolida orientalis*, *Nigella arvensis*, *Papaver* spp., *Adonis aestivalis*, *Sisymbrium* spp., *Melampyrum arvense* და სხვ.

რუდერალური მცენარეულობა უმთავრესად საკვები ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებზე ვითარდება. ტიპური სახეობებია: *Solanum nigrum*, *Hyoscyamus niger*, *Cardaria draba*, *Cynodon dactylon*, *Xanthium strumarium*, *Arctium lappa*, *Althaea rugosa*. რუდერალური მცენარეულობის შექმნაში მონაწილეობს ინვაზიური სახეობებიც, მაგ. *Ambrosia artemisiifolia*, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკული წარმოშობის ნეოფიტი სარეველა მცენარეა.



4. საქართველოს ფლორისტული მრავალფეროვნება და ბიოგეოგრაფია

კავკასიის რეგიონის, როგორც ბიოგეოგრაფიული ერთეულის საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია; სხვადასხვა ავტორებს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ (МЕНИЦКИЙ 1991, MEUSEL & JÄGER 1992, OGANESIAN 1995, GAGNIDZE 1999, MITTERMEIER et al. 1999). საკამათოა რეგიონის სამხრეთი საზღვრები, სადაც მცირე კავკასიონი უერთდება სომხეთის ზეგანს. გართულებულია მცირე კავკასიონის დასავლეთი ნაწილის განცალკევება პონტოს ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებიდან (DAVIS 1971). აღმოსავლეთით, მცირე კავკასიონის გაგრძელებას წარმოადგენს თალიშის მთები, რომლებიც მიეკუთვნება ჰირკანის რეგიონს.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის, გამოყენებული იყო კავკასიის ფართო გაგება, რომელიც მოცემულია MITTERMEIER et al. -ის ნაშრომში (1999). კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით რეგიონის საზღვარი გადის კრასნოდარიდან (დასავლეთით) დაღესტნამდე (აღმოსავლეთით). მთავარი ქედის სამხრეთით რეგიონი მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, ასევე ჩრდ.-აღმ. თურქეთის ნაწილს (ლაზისტანი) და ჩრდ.-დას. ირანს (თალიში).

კავკასიის რეგიონი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი სარტყლის ფლორისტული მრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი „ცხელი წერტილია“ (MYERS 1990, 2003) არა მხოლოდ სახეობების რაოდენობის, არამედ ენდემიზმის დონის მიხედვითაც. კავკასიის ფლორა აერთიანებს 6,350 ჭურჭლოვან მცენარეთა სახეობას, რომელთა 24% (1,500) ენდემურია (GAGNIDZE 2005).

საქართველოს კავკასიის რეგიონის უმთავრესი ნაწილის მხოლოდ დასავლეთი სეგმენტი უკავია. ამის მიუხედავად, ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოდგენილია რეგიონის ფლორის ორი მესამედი. საქართველოს ფლორის ანტირეპეტიული სია (GAGNIDZE 2005) მოიცავს 4,130 სახეობას, მათ შორის 900 სახეობა ენდემურია (21%). საქართველო დარჩება გლობალური მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების ცენტრად იმ შემთხვევაშიც, თუ საბჭოთა კავშირის ფლორის მომზადებისას გამოყენებული ტაქსონომიური კონცეფცია გადაისინჯება და ქვეყნის ტერიტორიაზე აღწესულ სახეობათა მთლიანი რაოდენობა და ენდემების რიცხვი შემცირდება.

საქართველოს ფლორის სიმდიდრე, ერთი მხრივ, განპირობებულია ქვეყნის ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რომლებთანაც ასოცირებულია სათანადო ჰაბიტატები მცენარეთა მრავალფეროვანი ჯგუფებისათვის. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორია განეკუთვნება განსხვავებულ ფიტოგეოგრაფიულ ერთეულებს. დასავლეთ საქართველოს ტყეები უკავშირდება აღმოსავლეთ სუბხმელთაშუაზღვეთის ქვეარარონს (MEUSEL & JÄGER 1992). აქ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი სახეობებისათვის, როგორცაა *Arbutus andrachne*, ეს ტერიტორია ძალიან ახლოსაა მათი გავრცელების უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვართან. ასევე საინტერესოა, რომ ზოგიერთი აზიური სახეობებისათვის (*Diospyros lotus*, *Leptopus chinensis* და *Osmanthus decorus*) დასავლეთ საქართველო მათი გავრცელების უკიდურეს დასავლეთ საზღვარს წარმოადგენს. კავკასიის ქედების სუბალპური და ალპური სარტყლების ფლორას გარკვეული კავშირები აქვს ცენტრალური ევროპისა და სამხრეთ ციმბირის ფლორებთან, თუმცა აქ არ არის წარმოდგენილი ტყის ზედა საზღვრის ისეთი ტიპური ელემენტები როგორებიცაა *Larix decidua*, *Pinus cembra* და *P. mugo* (NAKHUTSRISHVILI 2004). სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სტეპები და ტყე-სტეპები დაკავშირებულია აღმოსავლეთ თურანის პროვინციის მცენარეულობასთან.

ყველა ჩამოთვლილი ფიტოგეოგრაფიული კავშირების მიუხედავად, განმეორებადმა გამყინვარების პერიოდებმა განაპირობა კავკასიის ხანგრძლივი იზოლაცია და შესაბამისად, მრავალრიცხოვანი ენდემური სახეობების წარმოშობა. ამის გარდა, დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პლეისტოცენში წარმოდგენილი იყო რეფუგიუმები, რითიც აიხსნება ამ ტერიტორიაზე მოზარდი პალეოენდემების (*Epigaea gaultherioides*, *Ilex colchica* და *Rhododendron ungerii*) მრავალრიცხოვნება (GAGNIDZE 1999, KIKVIDZE & OHSAWA 2001).

საქართველოს მცენარეთა მრავალფეროვნების ანალიზმა (GAGNIDZE 2005) აჩვენა რომ ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ლიკოპოდიუმებისა და გვიმრების 79, შიშველთესლოვნების 17 და ფარულთესლოვნების 4034 სახეობა. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია 5 წამყვანი ოჯახი სახეობების რაოდენობის მიხედვით:

ოჯახი	სახეობების რაოდენობა საქართველოში	ენდემურ სახეობათა რაოდენობა	საქართველოს ენდემები	კავკასიის ენდემები
Asteraceae	566	132	44	88
Poaceae	339	16	0	16
Fabaceae	317	79	34	45
Rosaceae	237	121	63	58
Brassicaceae	186	34	11	23

საქართველოს ფლორის 300 სახეობა საქართველოს ენდემია, ხოლო 600 - კავკასიის; 17 გვარი ენდემური ან სუბ-ენდემურია (GAGNIDZE & et al. 2002). უკანასკნელი მონაცემებით, ზოგიერთი ამ გვარის ტაქსონომიური სტატუსი გადაისინჯა, კერძოდ, *Trigonocaryum* (Boraginaceae) მიჩნეულია *Myosotis*-ის სინონიმად (CHACÓN et al. 2016); *Charesia* (Caryophyllaceae) გაერთიანდა გვარ *Silene*-ში, ხოლო *Gadellia* (Campanulaceae) განიხილება *Campanula*-ს სინონიმად; გვარი *Grossheimia* (Asteraceae) გაერთიანდა მსხვილ გვარ *Centaurea*-ში (GARCIA-JACAS et al. 2006); გვარი *Sredinskya* გვარ *Primula*-ს სინონიმია. აღიარებული ენდემური გვარები ჩვეულებრივ მონო- ან ოლიგოტიპურია (მონიშნულია***-ით წინამდებარე წიგნში). ეს გვარებია: *Agasyllis* (*A. latifolia**, Apiaceae), *Chymysidia* (*C. agasylloides*, *C. colchica*, Apiaceae), *Mandenovia* (*M. komarovii*, Apiaceae), *Symphyloloma* (*S. graveolens*, Apiaceae), *Alboviodoxa* (*A. elegans**, Asteraceae), *Cladochaeta* (*C. candidissima**) და აღმოსავლეთ კავკასიური *C. caspica*, Asteraceae), *Kemulariella* (სახეობებით ყველაზე მდიდარი ენდემური გვარი - *K. abchasica*, *K. caucasica**, *K. colchica*, *K. rosea* და *K. tugana*, Asteraceae), *Pseudoviscaria* (*P. digitata**, Brassicaceae), *Woronowia* (*W. speciosa**, Rosaceae), *Paederotella* (*P. pontica**, *P. daghestanica*, *P. teberdensis*, Plantaginaceae) და *Pseudobetkea* (*P. caucasica*, Valerianaceae) (იხ. GAGNIDZE et al. 2002).

5. საქართველოს ფლორის შესწავლის ისტორია

ფრანგმა მოგზაურმა ჟან-ბატისტ შარდენმა კავკასიაში 1672-1673 წლებში იმოგზაურა; მან აღწერა თბილისის ბოტანიკური ბაღი და შეაგროვა ადგილობრივი დეკორატიული და სამკურნალო მცენარეები (CHARDIN 1686).

კავკასიის ფლორის მეცნიერულ შესწავლას სათავე დაუდო გამორჩენილმა ბოტანიკოსმა და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ XIV-ის ქირურგმა ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორმა (Joseph Pitton de Tournefort) (სურ. 17). იგი საქართველოს ეწვია 1702 წელს გერმანელ ექიმ ანდრეას გუნდელსჰეიმერსა (Andreas Gundelsheimer) და მხატვარ კლოდ ობრიესთან (Claude Aubriet) ერთად. ტურნეფორმა შეაგროვა მდიდარი საჰერბარიუმო მასალა, რომელიც ამჟამად ინახება პარიზის ბუნების ისტორიის მუზეუმში (Muséum d'Histoire Naturelle Paris); აღნიშნული მასალა მოგვიანებით შეისწავლა კარლ ლინეუსი. ტურნეფორის მოგზაურობის დღიური გამოქვეყნდა მისი გარდაცვალებიდან 9 წლის შემდგომ (TOURNEFORT, 1717).

რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა 1724 წელს დააარსა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია. მისი ბრძანებით, აკადემიის დაარსების მომდევნო პერიოდში კავკასიას ეწვია რამდენიმე ნატურალისტი.

¹ ცნობები საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის შესახებ გაბნეულია უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში. საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის დეტალური აღწერა მოცემულია XVIII ს. დიდი ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის წიგნში „საქართველოს სამეფოს აღწერა“ (მთარგმნ. შენიშვნა).

სურ. 17.
ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი
(Joseph Pitton de Tournefort) (1656 – 1708)



სურ. 18.
გუსტავ რადე (Gustav Radde) (1831 – 1903)



სურ. 19.
შაჰილ შეთეკური (1955 – 2018)



პირველი ნაშრომი კავკასიისა და ყირიმის ფლორის შესახებ - "Flora taurico-caucasica", გამოაქვეყნა ფრიდრიხ აუგუსტ ფრიდრიხ მარშალ ფონ ბიბერშტეინმა (Friedrich August Freiherr Marschall von Bieberstein) 1808 წელს; ავტორმა კავკასიისა და ყირიმიდან მრავალრიცხოვანი სახეობები აღწერა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დასაწყისიდან კავკასიის რეგიონში აქტიურად მუშაობდა არაერთი მეცნიერი და კოლექტორი, რომელთა გვარები უკვდავყოფილია აღწერილ სახეობათა ეპითეტებში. ეს მკვლევარებია: ფრიდრიხ ჰოჰენაკერი (Friedrich Hohenacker), ფრიდრიხ რუდოლფ კოლენატი (Friedrich Rudolf Kolenaty) კარლ ანტონ მეიერი (Carl Anton Meyer), ალექსანდრე ფონ ნორდმანი (Alexander von Nordmann), პეტერ სიმონ პალასი (Peter Simon Pallas), ქრისტიან სტევენი (Christian Steven) და ჟიულ სებასტიან-სეზარ დიუმონტ დ'ურვილი (Jules Sebastian-Césaire Dumont d'Urville). გერმანელმა ბოტანიკოსმა კარლ ჰეინრიხ ემილ კოხმა (Karl Heinrich Emil Koch) ორჯერ იმოგზაურა კავკასიაში 1836 - 1838 და 1843 - 1844 წლებში. მან გამოაქვეყნა კავკასიის მცენარეულობის პირველი რუკა (Koch, 1847; 1850).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის მცენარეულობას იკვლევდნენ გუსტავ რადე (Gustav Radde) (სურ. 18), ფრანც რუპრეხტი (Franz Ruprecht) და ერნსტ რუდოლფ ტრაუტვეტერი (Ernst Rudolf Trautvetter). გუსტავ რადემ ორმოცზე მეტი წელი გაატარა კავკასიაში, მან დააარსა კავკასიის მუზეუმი თბილისში. მისი უმთავრესი პუბლიკაცია „Grundzüge der Pflanzenverbreitung in den Kaukasusländern“ (RADDE 1899) მცენარეთა გეოგრაფიის კლასიკურ ნაშრომდაა მიჩნეული.

ვლადიმერ ლიპსკიმ გამოაქვეყნა იმ დროისათვის შემოაჯამებული ნაშრომი „კავკასიის ფლორა“ (Липский 1899), სადაც შეტანილია 4430 სახეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პუბლიკაციაში მოცემულია მხოლოდ მცენარეთა ანოტირებული სია აღწერების გარეშე, იგი დღემდე უმნიშვნელოვანეს შრომებს განეკუთვნება იმ მხრივაც, რომ მასში შეტანილია კავკასიის ფლორის უმდიდრესი ბიბლიოგრაფია.

მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ბოტანიკურ შესწავლაში ჩართული იყო არაერთი ბოტანიკოსი, მათ შორის იგან აკინფიევი, ფიოდორ ალექსენკო, ნიკოლაი ბუში, ზორის ფედჩენკო, ანდრეი კრასნოვი, იაკოვ მედვედევი; ევროპელი ბოტანიკოსებიდან, კავკასიის ფლორას ამ პერიოდში იკვლევდნენ ემილ ლევიე (Émile Levier) და სტეფან სომიე (Stéphen Sommier). ამ უკანასკნელებმა აღწერეს და ევროპაში

შეიტანეს მანტეგაციის დიცი (*Heracleum mantegazzianum*), რომელიც მოგვიანებით იქცა მნიშვნელოვან ინვაზიურ სახეობად ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში. ნიკოლაი ალბოვმა აღწერა კავკასიის არაერთი ენდემური სახეობა (მაგ., *Rhamphicarpa medwedewii*); მოგვიანებით, მან დატოვა საქართველო და გაემგზავრა არგენტინაში, სადაც გარდაიცვალა 1898 წელს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო ფუნდამენტური ნაშრომის - "Flora Caucasica Critica" (Кузнецов и др. 1901 - 1913) გამოქვეყნება ნიკოლაი ბუშის, ალექსანდრე ფომინისა და ნიკოლაი კუზნეცოვის ავტორობით, თუმცა რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ შეაჩერა ეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც უკვე დაბეჭდილი იყო 45 გამოშვება. ალექსანდრე გროსგეიმმა განავითარა ეს იდეა და გამოაქვეყნა „კავკასიის ფლორა“ (Гроссгейм 1928 - 1934). შემდგომში მომხდარმა მეორე გამოცემამც (Гроссгейм 1939 - 1967), რომელიც დაასრულეს კავკასიელმა და რუსმა მეცნიერებმა გროსგეიმის გარდაცვალებიდან (1948) 20 წლის შემდეგ.

„საბჭოთა კავშირის ფლორის“ მომზადებისა და გამოქვეყნების მოწვევით პროექტი დაიწყო 1934 წ. ვლადიმერ კომაროვის თაოსნობით, პროექტი დასრულდა 1964 წელს (Комаров и др. 1934 - 1964). სულ გამოიცა 30 ტომი, რომლებშიც შევიდა 15,000-ზე მეტი სახეობის აღწერა. ნაშრომი თარგმნილია ინგლისურ ენაზე და წარმოადგენს ერთადერთ ლიტერატურულ წყაროს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფლორის შესახებ იმ ბოტანიკოსებისათვის, რომლებიც არ ფლობენ რუსულ ენას.

„საქართველოს ფლორის“ პირველი გამოცემა მომზადდა 8 ტომად და გამოიცა 1941-1952 წლებში. მეორე გამოცემის პუბლიკაცია დაიწყო 1971 წელს, ამ გამოცემის მთავარი რედაქტორები იყვნენ ნიკო კეცხოველი და რევაზ გაგნიძე (საქართველოს ფლორა 1971-2011). ორივე გამოცემა შესრულებულია ქართულ ენაზე.

2003 წელს დაიწყო კავკასიის ფლორის კონსპექტის გამოცემა (Тахтаджян 2003), რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტმა, რომელიც 1941-2006 წლებში ოფიციალურად იწოდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტად, დიდი შრომა გასწია საქართველოს ფლორის შესწავლისათვის. მისი ერთ-ერთი თანამშრომელი იყო ალექსანდრე გროსგეიმის მოსწავლე მიხეილ სახოკია (იხ. TSCHELIDZE 2014), რომელიც მოგვიანებით ხელმძღვანელობდა გეობოტანიკის განყოფილებას. სხვადასხვა დროს ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ასევე იყვნენ გამოჩენილი ბოტანიკოსები სერგეი იუზეპჩუკი, ლიუბოვ კემულარია-ნათაძე, ნიკო კეცხოველი, ანა ხარაძე და ანაიდ (იდა) მანდენოვა.

საქართველოში ბოტანიკური კვლევის სხვა ცენტრებია ქვეყნის უნივერსიტეტები და თბილისისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღები, ამ ნაშრომის ზოგიერთი მონაწილე ჩამოთვლილი დაწესებულებების თანამშრომელია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა ცნობილი ბოტანიკოსი ალექსანდრე შაყაშვილი, აგრეთვე შამილ შეთეკაური (1955-2018; სურ. 19), რომელმაც მოამზადა საქართველოს ფლორის პირველი ილუსტრირებული გზამკვლევი.

6. ტაქსონომიური კონცეფციები

პრაქტიკული მიზნებისთვის, საქართველოს მრავალფეროვანი მცენარეები დაყოფილია შემდეგ რვა ჯგუფად: ლიკოპოდიუმები, გვიმრები, შიშველთესლოვნები, უმდაბლესი ფარულთესლოვნები, ერთლებნიანები და უმაღლესი ფარულთესლოვნები. ამ წიგნში თითოეულ ჯგუფში ოჯახები განლაგებულია ანბანის მიხედვით. დამატებაში მოცემულ სიაში ნაჩვენებია თითოეული ამ ჯგუფის სისტემატიკური და ფილოგენეტიკური პოზიცია და სტრუქტურა, რომელიც მისდევს ადოლფ ენგლერის მცენარეთა ოჯახების სილაბუსის მე-13 გამოცემას (FISCHER 2009, FISCHER & FREY 2015, FISCHER 2015).

"საქართველოს ფლორის" მომზადებისას გამოყენებული იყო სახეობის გლადიმერ კომპაროვის სკოლისეული, ტაქსონომიურად ვიწრო გაგება (Флора СССР, Комаров и др. 1931 - 1964). გზამკვლევის ავტორების მიერ მცენარეთა გასარკვევად ინტენსიურად იყო გამოყენებული ამ ნაშრომის ინგლისური თარგმანი, თუმცა მცენარეთა დასახელებები მოყვანილია შემდეგ წყაროებში გამოყენებული კონცეფციის მიხედვით: Flora Europaea (TUTIN et al. 1964 - 1980), Flora of Turkey (DAVIS 1965 - 1988), Med-Checklist (GREUTER et al. 1984-1989) და Flora Iranica (RECHINGER 1963 - 2005). ის სახეობები, რომლებიც არ არის შეტანილი ზემოთ ნახსენებ „ფლორებში“, მოყვანილია the Plant List-ის (www.theplantlist.org), Euro+Med-ის, PlantBase-სა (ww2.bgbm.org/EuroPlusMed) და the Kew Checklist-ის (wcsp.science.kew.org) მიხედვით. დამატებით გამოყენებული იყო უკანასკნელ წლებში გამოცემული მონოგრაფიები და რევიზიები შემდეგი ჯგუფების შესახებ: *Dactylorhiza* (AKHALKATSI et al. 2007), *Gladiolus* (GABRIELIAN 2001), *Orchidaceae* (DELFORGE 2016), *Orobanchae* (PIWOWARCZYK 2015), *Paeonia* (HONG & ZHOU 2003), *Polygonum cognatum* agg. (YURTSEVA et al. 2012), *Rhamphicarpa* (HANSEN 1975), *Salicornia* (KADEREIT et al. 2012), ხეები და ბუჩქები (SCHMIDT 2016).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზოგიერთ კრიტიკულ ჯგუფს, როგორცაა ოჯახი Orobanchaceae. ამ ოჯახში აღსანიშნავია გვარი *Euphrasia*, რომელიც საქართველოში წარმოდგენილია 13 სახეობით (GAGNIDZE 2001). დამატებით, ავტორების მიერ საქართველოში ნაპოვნი იყო კიდევ 3 სახეობა, რომლებიც აღწერილია მგზობელი ქვეყნებიდან, თუმცა ადრე არ აღწუსულა საქართველოში. ამჟამად მიმდინარეობს ამ გვარის რევიზია კაი მიულერის (K. Müller), ებერჰარდ ფიშერის (E. Fischer) და კატარინა შაჰერის (K. Schäper) მიერ.

ინფორმაცია სხვა ჯგუფების შესახებ, როგორცაა ლიკოპოდიუმები და გვიმრები, მოიცავს ავტორების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებსაც. დღეისათვის უკვე გამოქვეყნებულია ევროპული, მათ შორის კავკასიური, ტაქსონების სარკვევი (FISCHER & LOBIN 2006). ფასეული მონაცემები მიღებულია ზურაბ შევარდნაძის მიერ 2005- 2010 წლებში ჩატარებული საველე კვლევებიდან.

❶ *Pulsatilla violacea* Rupr. *P. georgica* Ranunculaceae

მრავალწლოვანი, 5 - 10 სმ, ყვავილსაფრის ფოთლაკები კარგადა განვითარებული, მათი ფერი ძლიერ ცვალებადია. $\sqrt{V} = \sqrt{V!}$. სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოები და კლდეები. კავკასია. საფრთხეში მყოფი.

- ა, ე მთიულეთი, სტეფანწმინდა, წმინდა სამება;
- ბ ქართლი, ცხრაწეაროს უღელტეხილი, 2400 მ;
- გ - დ ჯავახეთი, დიდი აბული



7. როგორ გამოვიყენოთ ეს წიგნი

თითოეული სახეობისათვის მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

ენდემური სტატუსი:

- სახეობა საქართველოს ენდემია.
- სახეობა კავკასიის ენდემია.

ამ წიგნში კავკასია უფრო ფართოდ არის გაგებული, ვიდრე ეს წარმოდგენილია რევზა გაგნიძის ნაშრომში (GAGNIDZE 2005); მის საზღვრებში მოქცეულია სამხრ.-აღმ. თურქეთი და ჩრდ.-დას. ირანი (იხ. ბიოგეოგრაფია).

მცენარის სახელწოდება და ავტორი: იხ. ტაქსონომიური კონცეფცია.

სინონიმები: ავტორებს მიზნად არ დაუსახავთ ყველა სინონიმი ჩამოთვლა; თუ სხვა სახელწოდებები წარმოდგენილი იყო რ. გაგნიძის ნაშრომში (GAGNIDZE 2005), ისინი მოყვანილია ამ წიგნში შედარებისათვის.

ოჯახი: ლიკოპოდიუმების, გვიმრების, შიშველთესლოვნების, უმდაბლესი ფარულთესლოვნების, ერთლებნიანებისა და უმაღლესი ფარულთესლოვნების უფრო მაღალ კატეგორიებში ოჯახები მოყვანილია ანბანური თანმიმდევრობით.

აღწერა: აღწერა მაქსიმალურად ლაკონურია. ჩვეულებრივ, მითითებულია მცენარის სასიცოცხლო ფორმა და სიმაღლე, ზოგჯერ მოყვანილია დიაგნოსტიკური ნიშნებიც.

რომაული ციფრები აღნიშნავს ყვავილობის სეზონს (თვე). ენდემური სახეობებისათვის მოყვანილია ჰაბიტატის მოკლე დახასიათება.

თუ სახეობა შეფასებულია IUCN-ის მიერ ან კავკასიის ენდემურ სახეობათა ნითელ ნუსხაში შესატანად (Solomon et al. 2013), მოყვანილია შესაბამისი კატეგორია (კრიტიკულ საფრთხეში მყოფი = CR; საფრთხეში მყოფი = EN; მოწყვლადი = VU; საფრთხესთან ახლოს მყოფი = NT; საჭიროებს ზრუნვას = LC). იშვიათად, წარმოდგენილია შენიშვნებიც, მაგ., სახეობის ტაქსონომიური სტატუსის შესახებ.

① **Pulsatilla violacea** Rupr.

P. georgica

Ranunculaceae

მრავალწლოვანი, 5–10 სმ, ყვავილსაფრის ფოთოლაკები კარგადა განვითარებული, მათი ფერი ძლიერ ცვალებადია. V–VI. სუბალპური და ალპური სარტყლების მდელოები და კლდეები. კავკასია. საფრთხეში მყოფი.

ა, ე მთიულეთი, სტეფანწმინდა, წმინდა სამება;
ბ ქართლი, ცხრაწყაროს უღელტეხილი, 2400 მ;
გ – ღ ჯავახეთი, დიდი აბული




გავრცელება: თითოეული სახეობისათვის მოცემულია საერთო გავრცელება. ინფორმაცია სახეობის საქართველოში გავრცელების შესახებ აღებულია „საქართველოს ფლორიდან“ (საქართველოს ფლორა, 1971-2011), ასევე გამოყენებულია ავტორების მიერ მოპოვებული მონაცემები.

სახეობის არეალი საქართველოს ფარგლებში დატანილია რუკაზე ან მოკლედ ან აღწერილი. რუკების დასამზადებლად გამოყენებულია „საქართველოს ფლორაში“ წარმოდგენილი ქვეყნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაყოფის სქემა, რომელიც არ შეესაბამება ფლორისტულ დარაიონებას და მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ ერთეულებს. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ დასაზუსტებელია სახეობათა არეალები საქართველოში, რუკებზე წარმოდგენილი ინფორმაცია მიახლოებითია.

ფოტოები: ყველა ფოტო გადაღებულია საქართველოს ბუნებრივ ჰაბიტატებში; ზოგიერთი მცენარის ფოტო გადაღებულია ბოტანიკურ ბაღებში. აღწერებში მოცემულია თითოეული ფოტოს გადაღების ადგილი. ფოტოს ავტორები მხოლოდ იმ შემთხვევებშია მითითებული (©), თუ ისინი არ არიან ამ წიგნის ავტორები ან თანამონაწილეები (იხ. ასევე ფოტოების ავტორები, გვ. 805).

საძიებელი: საძიებელში მოცემულია სახეობათა აღიარებული სახელწოდებები, სინონიმები და ოჯახები ანბანური თანმიმდევრობით.



	საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული რაიონები „საქართველოს ფლორის“ მიხედვით	თანამედროვე ადმინისტრაციული ერთეულები
1	აფხაზეთი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
2	სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაწილი
3	რაჭა-ლეჩხუმი	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ნაწილი
4	სამეგრელო	სამეგრელო-ზემო სვანეთის ნაწილი
5	იმერეთი	იმერეთი
6	გურია	გურია
7	აჭარა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
8	შიდა ქართლი	შიდა ქართლის ნაწილი
9	ქართლი	შიდა ქართლის ნაწილი
10	მთიულეთი	მცხეთა-მთიანეთის ნაწილი
11	თუშ-ფშავ-ხევსურეთი	კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის ნაწილი
12	კახეთი	კახეთის ნაწილი
13	ქიზიყი	კახეთის ნაწილი
14	გარე კახეთი	კახეთის ნაწილი
15	გარდაბანი	ქვემო ქართლის ნაწილი
16	თრიალეთი	ქვემო ქართლის ნაწილი
17	ქვემო ქართლი	ქვემო ქართლის ნაწილი
18	ჯავახეთი	სამცხე-ჯავახეთის ნაწილი
19	მესხეთი	სამცხე-ჯავახეთის ნაწილი

8. ღიკოპოდიუმები




Diphasiastrum alpinum (L.) Holub

Lycopodiaceae

გართხმული მრავალწლოვანი, 5 სმ-მდე, თავთავები მჯდომარე ან მოკლუცუნწიანია. ზომიერი სარტყლის ჩრდილოეთი ნაწილი, უმთავრესად მაღალმთიანეთი.



ა - ბ აჭარა, გოდერძის უღელტეხილი



9. გვიმრები

Selaginella helvetica (L.) Spring
Selaginellaceae

ა-გ

მრავალწლოვანი, ხავსისებრი, თავთავები გვერდით ცალკეობენ. ევროპა - აღმ. აზიის მთათა სისტემები.

ა მთიულეთი, ანანური; ბ კახეთი, სტორის ხეობა; გ ქართლი, ბაკურიანი, ცხრაწყაროს უღელტეხილი



Selaginella selaginoides (L.)

P. Beauv. ex Schrank & Mart.

დ

Selaginellaceae

მრავალწლოვანი, ხავსისებრი, თავთავები მჯდომარეა. ევროპა - ჩრდ. აზიის მთათა სისტემები.

დ მთიულეთი, გუდაური





ა



ბ



გ



დ



ე



ვ

Asplenium adiantum-nigrum L.
Aspleniaceae

ა-გ

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, 10 – 25 სმ, ფოთლები მოზამთრეა. ევროპა, დას. აზია, ჰიმალაი, ჩრდ. აფრიკა. გავრცელებულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, სამხრ.-აღმ. ნაწილის გარდა.

ა აჭარა, ბათუმი; ბ აჭარა, ბრონიცას ხეობა; გ იმერეთი, ქუთაისი

Asplenium ceterach L.
Ceterach officinarum
Aspleniaceae

დ-ვ

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, 8 – 20 სმ, ფოთლის ქვედა ზედაპირი სქლადაა მოფენილი ქერქლებით. ხმელთაშუაზღვითი, ევროპის ატლანტის ოკეანისპირა რეგიონები, ყირიმი, კავკასია, ჰიმალაი.

დ - ვ იმერეთი, ბაღდათი



ა



ბ



გ



დ

Asplenium pseudolanceolatum Fomin
Aspleniaceae

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, ფოთლები თითქმის სწორმდგომია, 20 სმ-მდე. არაკრეკული კლდეები სუბალპურ და ალპურ სარტყლებში. სამხრ. კავკასია.

ა - ბ აჭარა, კოსლითავი
გ - დ აჭარა, ვოდერძის უღელტეხილი





Asplenium ruta-muraria L.
Aspleniaceae

ა-გ

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, 3 – 12 სმ, ფოთლები მკვერივი და სქელია. ზომიერი სარტყლის ჩრდ. ნაწილი. გავრცელებულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, სამხრ.-აღმ. ნაწილის გარდა.

- ა მთიულეთი, დარიალის ხეობა;
- ბ მთიულეთი, სტეფანწმინდა;
- გ მთიულეთი, ანანური (© ზ. შვევარდნაძე)

Asplenium scolopendrium L.
Phyllitis scolopendrium

დ-ე

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, 20 – 60 სმ, ლამინა მთლიანია, კიდები ტალღისებრია. ზომიერი სარტყლის ჩრდ. ნაწილი. გავრცელებულია საქართველოს მთიანეთის უდიდეს ნაწილში, სამხრ.-აღმ. მხარეების გარდა.

- დ კახეთი, ლავოდები
- ე ქართლი, სურამი

Asplenium septentrionale (L.) Hoffm.

ა-გ

მრავალწლოვანი, მხოვავი ფესურა ქმნის კორდს, 8 – 20 სმ, ფოთლი მარცვლოვნების ფოთლის მსგავსია. ევრაზიის ზომიერი სარტყელი – ჩრდ. აფრიკა. გავრცელებულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, სამხრ.-აღმ. ნაწილის გარდა.

- ა მთიულეთი, დარიალის ხეობა;
- ბ მთიულეთი, კობი;
- გ მთიულეთი, ანანური (© ზ. შვევარდნაძე)

Asplenium trichomanes L.
Aspleniaceae

დ-ვ

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, 5 – 25 სმ, ფოთლის სეგმენტები თითქმის მომრგვალებულია. ზომიერი სარტყლის ჩრდ. და სამხრ. ნაწილები. გავრცელებულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, სამხრ.-აღმ. ნაწილის გარდა.

- დ აჭარა, ბრონიცას ხეობა;
- ე იმერეთი, ბაღდათი;
- ვ მთიულეთი, ანანური (© ზ. შვევარდნაძე)



ა



ბ



ბ

○ **Asplenium woronowii** Christ.
A. cuneifolium ssp. *woronowii*
Aspleniaceae

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, სიმაღლე 20სმ-მდე, ფოთლები გლუვია, მოზამთრე არ არის. კირქვოვანი კლდეები ალპურ სარტყელში, საქართველო.

ა - აჭარა, მწვანე ტბა, გოდერძის უღელტეხილი (© თ. ვასაძე)
ბ - გ აჭარა, ბათუმის ბოტანიკური ბაღი



ა



ბ




ბ



ბ



ე



ვ

Blechnum spicant (L.) Roth
Blechnaceae

ა-ვ მრავალწლოვანი, დამკორდებელი, 20 - 40 სმ, სტერილური ფოთლები ტყავისებრია, სპორეობიანი ფოთლი ერთმანეთისგან დაშორებული სევმენტებითაა. ზომიერი სარტყლის ჩრდ. ნაწილი.

ა - აჭარა, ბრონიცას ხეობა;
ბ - გ გურია, ოზურგეთი,
ბახვი (© ზ. შვევარდნაძე)



Hypolepis punctata (Thunb.) Mett.
Dennstaedtiaceae

ა-ვ მრავალწლოვანი, დამკორდებელი, სიმაღლე 2 მ-მდე, ფოთლი 3 (ან 4)-ჯერ ფრთისებრია. აღმ. - სამხრ. აღმ. აზია, ავსტრალია, ამერიკის ტროპიკული სარტყელი. ინტროდუცირებულია აჭარის სანაპიროზე. სავარაუდოდ, თავდაპირველად კულტივირებული იყო ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ამჟამად გავრეულებულია, პირველად შეაგროვეს ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებმა ნინო მემიაძემ და თემურ ვასაძემ.

დ - ვ აჭარა, ბათუმის ბოტანიკური ბაღი



Pteridium aquilinum (L.) Kuhn

P. tauricum ა-გ

Dennstaedtiaceae

მრავალწლოვანი, მხოხავი ფესურა ქმნის კორდს, 40 – 200 სმ. კოსმოპოლიტი. უაღრესად პოლიმორფული სახეობა, საჭიროებს დამატებით შესწავლას გლობალურ დონეზე.

ა აჭარა, დეხას ხეობა;
ბ იმერეთი, საირმე;
გ ქართლი, სურამი



Dryopteris affinis ssp. persica

Fraser-Jenk. დ-თ

Dryopteridaceae

მრავალწლოვანი, დამკორდებელი, 1,5 მ-მდე, ფოთლები მოზამთრეა, ინდუზიუმი ცვივა. სამხრეთ კავკასიის ცენტრ. და აღმ. ნაწილები — კასპიისპირეთი. არასაკმარისი შესწავლის გამო, გაერთიანება საქართველოს ტერიტორიაზე დასაზუსტებელია (ჩვენს მიერ ნაპოვნი აჭარასა და იმერეთში).

დ აჭარა, დეხას ხეობა; ე – ზ აჭარა, მერისი;
თ იმერეთი, საირმე







Ⓐ **Dryopteris alexeenkoana** Fom.

Dryopteridaceae

მრავალწლოვანი, დამკორდებული, 1 მ-მდე, სეგმენტები შეზნექილია, რახისის ქერქლები ძალიან მუქია, აქვს უსიამონო სუნი. ჩრდ.-აღმ. თურქეთი, კავკასია. განსხვავდება *D. dilatata*-გან შეზნექილი სეგმენტებითა და ძალიან მუქი რახისის ქერქლებით.

ა - ბ, ე კახეთი, ლაგოდეხი ; გ - დ აჭარა, ბათუმის ბოტანიკური ბაღი



Dryopteris carthusiana (Vill.)

H.P Fuchs

ა-დ

Dryopteridaceae

